პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 39 (9815) | სამშაბათი, 16 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს თბილისში იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — ერთიანი ფრონტის ორგანიზატორს! გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

მხურვალე საღამი ყრილობის დელეგატებს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში დღეს იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XVI ყრილობა. XVI ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. იგი შეაჯამებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დირექტივების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ ამოცანებს და მათი განხორციელების გზებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობიდან XVI ყრილობამდე წელიწადნახევარმა განვლო. ეს პერიოდი აღსავსეა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით. 1952 წლის ოქტომბერში მოწვეულმა პარტიის XIX ყრილობამ შეაჯამა საბჭოთა სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებათა დიადი შედეგები და დასახა გაშლილი პროგრამა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა კომუნიზმისაკენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებები, პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებანი დასაწყისს აძლევენ ახალ ეტაპს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხალხის ძირეულ ინტერესებს გამოხატავს.

საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ XIX ყრილობის დირექტივები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებები.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის მეოხებით, სსრ კავშირის ხალხებისა და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, წლითიწლობით იზრდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა.

ადმავლობის გზით მიდის რესპუბლიკის მრეწველობა. საქართველოს მრეწველობამ 1953 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, ხოლო წარმოების დონე გასულ წელს 1952 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა. 1953 წელს 1952 წელთან შედარებით ფოლადის გამოშვება გაიზარდა 43,3 პროცენტით, ხოლო მზა ნაგლინისა — 27,2 პროცენტით. უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა მეშახტეებმა. 1940 წელთან შედარებით 1953 წელს თითქმის ერთიოთხად მეტი ქვანახშირი იქნა ამოღებული. მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა. 1953 წელს მარგანეცის მადნეულის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,9 პროცენტით იქნა შესრულებული.

ამასთან ერთად მრეწველობის, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები და მრეწველობის მთელი რიგი დარგებიც კი, რომლებიც ჩამორჩებიან, საგეგმო დავალებებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, 1953 წლის პროგრამა ვერ შეასრულეს რუსთავის ტალინის სახელობის ქარხანამ, საქართველოს ნავთობის ტრესტმა, ჭუთაისის საავტომობილო ქარხანამ, საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა. დიდი ნაკლოვანებანია თევზის მრეწველობაში. სისტემატურად არ სრულდება თევზის ჭერისა და გადამუშავების დაწესებული გეგმები.

ცუდად ართმევენ თავს მინდობილ საქმეს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები. მეტად ჩამორჩებიან რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები, მათ შორის ისეთი მსხვილი სამშენებლო ტრესტიც, როგორიც ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენებლობის ტრესტია.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, მთელი ენერგიით არ იბრძვიან საწარმოების, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ცოტა როდია ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს. სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავს ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც ებღაუჭებიან ძველს, დრომოჭმულს და აქტიურად არ უბერენ მჭარს ყოველივე ახალს, პროგრესულს. გადაჭრით და ბოლომდე აღმოვფხვრათ ეს ნაკლი, ავიყვანოთ ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე — ნიშნავს ავამოქმედოთ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის უდიდესი შინაგანი რეზერვები და უზრუნველყოთ ყველა მისი დარგის შემდგომი მძლავრი განვითარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის დიდი და ნათელი პროგრამა დასახა, მიუთითა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებების განხორციელებისათვის. გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, შაქრის ჭარხლის უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს და სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის უფრო მეტი პროდუქტები ჩააბარეს, ვიდრე 1952 წელს. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების, გორის რაიონის სოფელ კარალეთის, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის და სხვა მოწინავე კოლმეურნეობები.

მაგრამ საკოლმეურნეო წარმოების წარმატებანი უფრო მეტი იქნებოდა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უკეთ რომ ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს, ქმედითად ეხმარებოდნენ მათ შრომის სწორად მოწყობაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში. სწორედ ამიტომ რესპუბლიკაში ბევრია ჩამორჩენილი კოლმეურნეობა და რაიონიც კი. სერიოზულად ჩამორჩება მეკარტოფილეობა და მებოსტნეობა.

ცნობილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მაგრამ ეს დარგი ყველაზე მეტად ჩამორჩება. პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გეგმები წლითიწლობით არ სრულდება. 1953 წელს არც ერთ რაიონს არ შეუსრულებია წველადობის გეგმა. ასევე შეუსრულებელი დარჩა შარშან საკვების დამზადების დავალება.

მთავარი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ მეტად ჩამორჩება ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. ძირფესვიან გარდაქმნას საჭიროებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ალაზნის, საჩხერის, ამბროლაურის, ქედის მტს-ები.

უკანასკნელ ხანებში, მართალია, ამაღლდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. მთელი რიგი პარტიული კომიტეტები და საბჭოების აღმასკომები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კვლავ ზერელედ და არაკვალიფიციურად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს და მტს-ებს, ხშირად ცოცხალ და ოპერატიულ მუშაობას სასხდომო ფუსფუსითა და საერთო განკარგულებების გაცემით სცვლიან.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი დონე უნდა იხმარონ, რომ მოკლე ვადაში გამოასწორონ სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებანი, აიყვანონ ჩამორჩენილი რაიონები და კოლმეურნეობები მოწინავეთა დონემდე, მიაღწიონ საგაზაფხულო სამუშაოების წარმატებით მომზადებასა და ჩატარებას, რაც გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო წარმატებათა საფუძველია. ახორციელებენ რა პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას. მიუხედავად ამისა, სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში ცოტა ნაკლი როდია. პარტიულ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არის ფორმალიზმისა და მედავითნეობის ელემენტები, ზოგჯერ პოლიტიკური სწავლება მოწყვეტილია ძირითად პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს. ზუგდიდის, სიღნაღის, კასპის, გარდაბნის რაიონების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში დარღვეული იყო ნებაყოფლობის პრინციპი კომუნისტების თეორიულ სწავლებაში. ზოგან, გატაცებული არიან რა პარტიულ განათლებაში კომუნისტთა საყოველთაო „ჩაბმით“, მათ ხელადებით რიცხავენ წრეებსა და პოლიტსკოლებში, ღრმად ვერ სწვდებიან შეცადინეობის შინაარსს, სუსტად ეხმარებიან პროპაგანდისტებს.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გადაჭრით გაუმჯობესონ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. კომუნისტური აღზრდის ყველა საშუალება უნდა მოვახმაროთ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომ აღმავლობას, ნამდვილად მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

შინაპარტიული დემოკრატიის, ჯანსაღი პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ყრილობის დელეგატები მოურიდებლად ამხელენ რა ნაკლოვანებებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში, ამით დაეხმარებიან მათ კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს ბრძოლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესრულებისათვის, მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ყრილობა მუშაობას იწყებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ღირსშესანიშნავ დღეებში. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული, გამოწრთობილი და ერთიანი რაზმი, თავის XVI ყრილობაზე მოვიდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღსავსე არიან რწმენითა და მზადყოფნით — მთელი თავანთი ძალები მოახმარონ მათ წინაშე მდგომი ამოცანების ღირსეულად განხორციელებას, კომუნიზმის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლას.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა გაიხსნება დღეს, 16 თებერვალს, დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-4 წლისთავის გამო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა სსრ კავშირში გე ბაო-ციუანმა 14 თებერვალს საღამოს დარბაზობა გამართა.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მალენკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. გ. პერვუხინი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. გ. კაბანოვი, ი. ა. ბენედიქტოვი, ს. მ. ტიხომიროვი, დ. ფ. უსტინოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ზ. ა. შუმკოვი, ნ. დ. პსურცევი, ბ. პ. ბეშჩევი, ა. თ. ტრეტიაკოვი, ი. ი. ნოსენკო, ს. ა. აკოფოვი, ა. ნ. კუზმინი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ა. ვოლინი, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, ს. მ. ბუდიონი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, არმიის გენერლები მ. ს. მალინინი, გ. კ. მალანდინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები — ვ. ა. ზორინი, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. ნ. კუმკინი, ნ. ს. კაზაკოვი, დ. ვ. ეფრემოვი, ბ. ლ. ვანიკოვი, ტ. ბ. მიტროხინი, მ. ვ. ხრუნიჩევი, ა. ვ. დომრაჩევი, ნ. ს. რიჟოვი, ი. დ. გოცირიძე, ს. ვ. კაფტანოვი, ვ. ნ. სტოლეტოვი, მ. რ. კუზმინი, საკავშირო პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ნ. გ. პალგუნოვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, არტილერიის მარშალი მ. ი. ნედელინი, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ჟელტოვი, არმიის გენერალი ვ. ვ. კურასოვი, ადმირალები ნ. ე. ბასისტი, ვ. ა. ფოკინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები, პრესის მუშაკები.

ჩინეთის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ საელჩოს მრჩეველი დინ დანი, საგაჭრო მრჩეველები ლი ციანი, ი ცინ-ტანი, სიუი და-შენი, სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი დიი ხიე და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმრებს შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისა და შინაგაჭრობის მინისტრი კ. გრეგორი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობისა და მიმოსვლის მინისტრი გ. ნუში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფ. მარეკი.

დარბაზობაზე იყვნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: შვეიცარიისა — რ. სულმანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ა. სკლადანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. დალია, ბირმის კავშირისა — მ. ონი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ნგუენ ლონგ ბანგი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ი. ვოშაგლიკი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადილბიში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — რ. აპელტი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები: შვეიცარიისა — ე. დე' ჰალერი, ფინეთისა — ო. ჰარტეი, ისრაელისა — ს. ელიაშივი; საქმეთა დროებითი რწმუნებულები: პაკისტანისა — მ. ს. ა. ბეიგი, დანიისა — გ. ლარსენი და აღნიშნული ქვეყნების საელჩოებისა და მისიების წევრები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გე ბაო-ციუანმა და ამხანაგებმა გ. მ. მალენკოვმა, ნ. ა. ბულგანინმა ერთმანეთს მიმართეს გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით.

დარბაზობამ მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირი

მოწვეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მიერ

13 თებერვალს მუშაობას განაგრძობდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირი.

დილით 10 სექციაში თათბირის მონაწილეებმა დიდი აქტივობით განიხილეს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების პრაქტიკული საკითხები.

სექციებში სულ გამოვიდა 100-ზე მეტი კაცი.

13 თებერვლის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ლობანოვის მოხსენებისა.

სიტყვა ეძლევა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს **ლისენკოს.**

მან აღნიშნა, თუ რა ეფექტიანია კირის გამოყენება სასუქის სახით. კირის, ნაკელისა და ფოსფორიტის ფქვილის ან სუპერფოსფატის ნარევის შეტანა თესვისწინა კულტივაციის დროს 5-7 ცენტნერით ზრდის მოსავალს ჰექტარზე. ამხ. ლისენკომ აღძრა კირის ცენტრალიზებული დამზადების, კერძოდ კურსკის ოლქის შჩიგრის ცარცის დიდი მარაგის ფართო გამოყენების საკითხი.

ამხ. ლისენკომ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდ გავლენას ახდენს კარგი სათესლე მასალა კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებაზე. იგი რჩევას იძლევა ჩვენი ქვეყნის ევროპის ზონის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში და ცენტრალურ შავნაადაგიან ზოლში კარტოფილი დაითესოს სათესლე ნაკვეთებზე ზაფხულში.

საღამოს სხდომაზე აგრეთვე გამოვიდნენ ივანოვოს ოლქის პუჩეჟის რაიონის კოლმეურნეობა „სვობოდის“ თავმჯდომარე ამხ. **პაპანოვი,** კუიბიშევის ოლქის სტავროპოლის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ თავმჯდომარე ამხ. **მეშტაკოვი,** მორდვეთის ასსრ ინსარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **განიჩკინა** და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **პუზანოვი.**

• • •

15 თებერვალს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა საბოლოო სხდომა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირისა.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ. საბუროვი, მ. გ. პერვუხინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ნ. ნ. შატალინი,** რომლებსაც თათბირის მონაწილენი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

გრძელდება განხილვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ლობანოვის მოხსენებისა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ: კურგანის ოლქის შადრის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის ანდერძის“ მემინდვრე საკოლმეურნეო საცდელი სადგურის დირექტორი სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. **მალცევი,** გროზნოს ოლქის სუნჟენის რაიონის კოლმეურნეობის „კომუნიზმის გზა“-ს ბრიგადირი ამხ. **სიდოროვა,** სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის კვების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **ზუბრილინი,** მოსკოვის ოლქის უხტომსკის რაიონის მესამე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **პეტროკოვი** და მოლოტოვის ოლქის ვერხნე-მულინის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი ამხ. **პონომარიოვა.**

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

თათბირმა ერთსულოვნად მიიღო მიმართვა რუსეთის სფსრ ყველა კოლმეურნისადმი, მტს-ების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი და მოუწოდა მოაწყონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობას.

ამით სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სრულიად რუსეთის თათბირმა დაამთავრა მუშაობა.

მიმართვა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ახალგაზრდა ამომრჩევლისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1954 წლის 14 მარტს ახალგაზრდა ამომრჩევლები ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად აირჩევენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში, ისე როგორც წარსულ საარჩევნო კამპანიებში, საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი გამოდის კომუნისტურ პარტიასთან მჭიდრო კავშირით, კომუნისტებასა და უპარტიოების ერთიანი ბლოკით.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მჭიდროდ რაზმავს ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის მილიონიან მასებს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების ზრდას და სსრ კავშირის ყველა ხალხის აყვავებას.

ახალგაზრდა ამომრჩევლებო!

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ ხმა მისცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს და ამით გამოხატოთ, რომ მზად ხართ კვლავაც მთელი ძალღონით დაეხმაროთ კომუნისტურ პარტიას კომუნიზმის მშენებლობაში. განამტკიცოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, დაიცვათ და განამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმაღლესი კანონია. პარტიამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის აღმავლობა, მიაღწია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის სერიოზულ ამაღლებას.

ემყარებიან რა მძიმე ინდუსტრიის დარგში მიღწეულ წარმატებებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის პროგრამას, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი გადაწყვეტილებებით.

კომკავშირელებმა და მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი აღმავლობა, მიიღეს როგორც მთელი თავიანთი მუშაობის საბრძოლო პროგრამა და აქტიურად ჩაებნენ ამ საარსებო ამოცანის განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

სამრეწველო საწარმოების კომკავშირელები და ახალგაზრდობა სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამით ისინი აქტიურად ეხმარებიან სოციალისტური მრეწველობის რეზერვების გამოვლინებას, ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი ზრდისათვის მათ გამოყენებას და სახალხო მოხმარების საგნების გამოშვებას გადიდებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელები და ახალგაზრდობა ემზადებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირების მოწოდებით. სოფლის ახალგაზრდობის ენერგია და შემოქმედებითი ინიციატივა ხმარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის რაც შეიძლება მალე აღმავლობას, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდებას, მარცვლეული კულტურების მოსაკლიანობის მნიშვნელოვან ზრდას, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა რეზერვის გამოყენებას.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის აქტიური ბრძოლით საბჭოთა ახალგაზრდობა ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავს ახალგაზრდა თაობისათვის. საბჭოთა ახალგაზრდობა სამუდამოდ განთავისუფლებულია ექსპლოატაციისა და უმუშევრობისაგან, უუფლებობისა და ჩაგვრისაგან, რომლებიც კაპიტალისტური ქვეყნების მოზარდი თაობის ხვედრია. საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობას შექმნილი აქვს თავისუფალი შემოქმედებითი შრომის, თავისი უნარისა და ნიჭის განვითარების ყველა შესაძლებლობა. საბჭოთა სახელმწიფომ ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი გახადა მეცნიერებისა და კულტურის ყველა საგანძური. ჩვენი ქვეყნის სკოლებში განათლებას იღებს ათეულ მილიონობით ახალგაზრდა. უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 3 მილიონზე მეტი სტუდენტი და მოსწავლე. გასულ 1953 წელს სახელოსნო, რკინიგზის, სამთო-სამრეწველო სკოლები და სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა 320 ათასმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ახალგაზრდობის ყოველმხრივი კულტურული და ფიზიკური განვითარების პირობები, მის განკარგულებაშია 380 ათასი ბიბლიოთეკა, 123 ათასი საკლუბო დაწესებულება, ათასობით სტადიონი, ტანვარჯიშის დარბაზი, სათხილამურო ბაზა, სასპორტო მოედანი, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი.

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა ახალგაზრდობა მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში. 130 ათასზე მეტი ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქე არჩეულია მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში. საბჭოთა კონსტიტუციია ახალგაზრდა მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ჩვენს ქვეყანაში ყოველმხრივ წახალისებულია ახალგაზრდობიდან უნარიანი ნიჭიერი ადამიანების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე სახელმწიფო ორგანოებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში.

კომკავშირელებო, ქალიშვილებო და, ჭაბუკებო!

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენ სავსებით დავუჭერთ მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, ჩვენი ახალგაზრდობის მზარდ მოთხოვნილებათა ყოველმხრივ დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები მოეწყობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის შემდგომი განმტკიცების ვითარებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმ აგრესიული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ საბჭო

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის დელეგატები. მარცხნიდან მარჯვნივ: გამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი პ. ჭელიშვილი (ტყიბული), ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია (ზუგდიდის რაიონი), ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვაკდომარე სოციალისტური შრომის გმირი ფ. ჭელიძე (ბუდაუთის რაიონი), ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პ. სვანიძე (გაგრის რაიონი), თეატრის ამრეშუმაფსახვეული ფაბრიკის სტახანოველი მ. მალიხინა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი დ. მოლოდინაშვილი (სიღნაღის რაიონი), რუსეთის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუხიშვილი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მეჯოგე ი. ილურიძე (თბილისი), თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ხარატი ნ. როდომანჩენკო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. იგითიანი (ახალქალაქის რაიონი), სტალინური პრემიის ლაურეატი ჟ. ბახტაძე, ქუთაისის დეპოს მემანქანე ო. მელაძე და კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის ოსტატი ა. ბენდიანიშვილი (თბილისი). სოციალისტური შრომის გმირი პ. ჭელიშვილი (ბუდაუთის რაიონი), სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ფ. ბერიძე (ოზურგეთის რაიონი), ფოთის ფეხსაცმელთა ფაბრიკის ოსტატი ვ. ბენდელიანი, ფოთის ფეხსაცმელთა ფაბრიკის ოსტატი ალ

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 13 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ა. იდენის თავმჯდომარეობით გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მეცხრამეტე სხდომა. გრძელდებოდა განხილვა დღის წესრიგის მესამე პუნქტისა— „ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება“.

როგორც ცნობილია, გუშინდელ სხდომაზე სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა თავისი წინადადებანი, რომელთა მიზანია რაც შეიძლება მალე აღდგენილ იქნას თავისუფალი და დამოუკიდებელი ავსტრია და მოწესრიგდეს ავსტრიის საკითხი ოთხი სახელმწიფოს „არსებულ შეთანხმებათა შესაბამისად.

დღევანდელ სხდომაზე პირველმა ილაპარაკა ავსტრიის თავრობის დელეგაციის ხელმძღვანელმა — ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფიგლმა, რომელიც ოთხი მინისტრის მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მონაწილეობს ავსტრიის საკითხის განხილვაში. ფიგლმა განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობას იმედი აქვს აღდგენილ იქნება ავსტრიის სრული თავისუფლება და სუვერენიტეტი და რომ სიტყვა „თავისუფლება“ მას ესმის როგორც ავსტრიის ოკუპაციის შეწყვეტა ავსტრიიდან უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანის გზით 90 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ძალაში შევა ხელშეწყობა ხელშეკრულება. მაგრამ ფიგლმა არაფერი თქვა იმაზე, თუ მისი აზრით როგორ შეიძლება ავსტრიის საკითხის ისეთი გადაწყვეტის უზრუნველყოფა, რომ ავსტრია განვითარდეს როგორც დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო. რაც შეეხება საბჭოთა წინადადებებს, იგი დასჯერდა იმის განცხადებას, რომ ეს წინადადებანი „დიდად უცრუებენ იმედს“ ავსტრიის მთავრობას. ფიგლს აღარ განუვითარებია ეს აზრი და არ მოუყვანია რაიმე მოსაზრება თავისი განცხადების დასასაბუთებლად და შეეხო საბჭოთა წინადადების მხოლოდ იმ პუნქტს, რომელშიც ჩაშოყალიბებულია სსრ კავშირის პოზიცია ავსტრიიდან უცხოთის ჯარების გაყვანის საკითხში. მან განაცხადა, ეს პუნქტი მიუღებელიაო.

ვ. მ. მოლოტოვმა, აღნიშნა რა, რომ ფიგლი შეეხო იმ წინადადებათა მხოლოდ ერთ საკითხს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა, თქვა, რომ ამგვარი გამოსვლა არ იძლევა ნათელ წარმოდგენას, თუ რა პოზიცია უკავია ავსტრიის მთავრობას მთლიანად საბჭოთა წინადადების მიმართ. ვ. მ. მოლოტოვმა იმედი გამოთქვა, რომ ავსტრიის დელეგაცია, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციები გამოთქვამენ აზრს მთლიანად საბჭოთა წინადადებების შესახებ.

შემდეგ ილაპარაკა ჯ. დალესმა. უგულებელყო რა ის ფაქტი, რომ საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს დამთავრდეს მომზადება ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც ძირითადად ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმებულ იქნა 1949 წელს, დალესი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა წინადადების მიღება თითქოს „დაამახინჯებდა ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას“ და რომ საჭირო გახდებოდა „ხელახლა დაგვეწყო მისი რედაქტირება პრეამბულიდან ბოლომდე“.

დალესი წავიდა საბჭოთა იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ტექსტში შეიტანონ მუხლი, რომელიც ავსტრიას დაკისრებს არ შეეძიოს რაიმე კოალიციასა ან სამხედრო კავშირში, რომელიც მიმართული იქნება რომელიმე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის წინააღმდეგ ომში და ავსტრიის განთავისუფლებაში. მან განაცხადა, ასეთი წინადადებას ავსტრია ვერ მიიღებსო.

ამრიგად, ბიდო იმ წინადადების წინააღმდეგ წავიდა, რომლის მიზანია თავიდან აცილებულ იქნას ცდები ავსტრიის ახალი ანშლუსისა, რომლის გეგმებსაც გულში ატარებენ დასავლეთ გერმანელი მილიტარისტები და რევანშისტები და რომლებსაც მხარს უჭერენ ავსტრიის გარკვეული წრეები.

ბიდო ამტკიცებდა, რომ იგი მზად არის საფრანგეთის დელეგაციის სახელით დადოს პირობა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზად არის ანშლუსის დაუშვებლობის საკითხე ჩამოაყალიბოს ზუსტი ვალდებულებანი „გერმანიის მოწესრიგების ფარგლებში“. მაგრამ ბიდოს შეინიშნა არ უთქვამს, თუ რატომ არის წინააღმდეგი საბჭოთა დელეგაციის ნათელი და კონკრეტული წინადადებისა, რომლის მიზანია უზრუნველყოს ავსტრიის ნამდვილი დამოუკიდებლობა და არ დაუშვას, რომ ავსტრია ჩანთქან გერმანელმა მილიტარისტებმა. დასასრულ ბიდომ დაინტერესა მოითხოვა, რომ თათბირმა მიიღოს იდენის გუშინდელი წინადადება, რომლის თანახმად ოთხი სახელმწიფოს ამ თათბირმა უნდა დაიწყოს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის იმ მუხლების განხილვა, რომლებიც დღემდე რეზერვირებულია.

შემდეგ სიტყვა აიღო ა. იდენმა. იგი საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებათა წინააღმდეგ წავიდა. იდენი განსაკუთრებით დაეჭვებით ილაშქრებდა საბჭოთა წინადადებების სწორედ იმ პუნქტების წინააღმდეგ, რომლების მიზანია თავიდან აცილებულ იქნას ახალი ანშლუსის ცდები და უზრუნველყოფილ იქნას ავსტრიის ნამდვილი დამოუკიდებლობა. შეეხო რა საბჭოთა დელეგაციის წინადადებას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებს დაევალოთ საში თვის ვადაში მოამზადონ საბოლოო ტექსტი სახელმწიფო ხელშეკრულებისა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, იდენი ცდილობდა ეს წინადადება დაესახა ისეთ წინადადად, რომლის შესრულება შეუძლებელია. როგორ შეუძლიათ ჩვენს მოადგილეებს, თქვა მან, მიაღწიონ შეთანხმებას, როცა მათ დიდი ხნის განმავლობაში დღემდე ვერ შეძლეს მოესპოთ ჩვენი უთანხმოება? იდენმა არაფერი თქვა ამაზე, რომ ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ დასავლეთის სამ სახელმწიფოს არა სურს შეთანხმების მიღწევა ავსტრიის საკითხში და რომ ისინი ისწრაფვიან ყოველნაირად გააჭიანურონ მოლაპარაკება. უარყო რა, რომ შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ავსტრიის საკითხზე სამი თვის ვადაში, იდენი ლოგიკის წინააღმდეგ დაჟინებით მოითხოვდა, რომ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც დღემდე შეთანხმებული არ არის, განიხილონ და შეათანხმონ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ამ თათბირზე.

შემდეგ მეორედ ილაპარაკა ლ. ფიგლმა, რომელმაც თქვა, რომ მას დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ავსტრიის თავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ შეუერთდეს არავითარ სამხედრო კავშირს. მან დასძინა, რომ შესაძლებელ არ მიმაჩნია, რომ ტრიესტის საკითხი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხს დაუკავშირონ, თუმცა, როგორც ცნობილია, ვ. მ. მოლოტოვმა თავის განცხადებაში ცხადყო, რომ ამ ორ პრობლემას შორის კავშირი არსებობს.

ფიგლის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა. მან აღნიშნა, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მინისტრებმა ავსტრიის საკითხის შესახებ საბჭოთა წინადადებების თაობაზე თავიანთ გამოსვლებში ყოველი ღონე იხმარეს, რათა ბუნდოვანი გაეხადათ ამ წინადადებათა არსი, აებნიათ საკითხი და ამრიგად შორს გადაედო გადაწყვეტილების მიღება. ამასთან დაკავშირებით ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას საბჭოთა წინადადებების შინაარსი და კვლავ გამარტა მათი ნამდვილი აზრი.

საბჭოთა მთავრობამ, თქვა მოლოტოვმა, მოითხოვა მოკლე ვადაში გადაწყდეს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საკითხი. მაგრამ აქ გვეუბნებიან, თქვენი წარმოდგენილი ვადა, ე. ი. სამი თვე, მეტად დიდიაო. შეიძლება შეეთანხმდეთ იმაზე, რომ შევამციროთ მოხსენებული ვადა. სამიდან ორ ან ერთ თვემდე.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა ამავე თათბირზე მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ხელშეკრულების დადებასთანავე ავსტრიის ოკუპაცია თავდება, ოთხი სახელმწიფოს ყველა საკონტროლო ორგანო ავსტრიაში ისპობა და ოთხი სახელმწიფოდან არც ერთი არ იტოვებს საოკუპაციო ფუნქციებს.

საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა ავსტრიის მთავრობის სურვილი, რომ ავსტრიამ გერმანიის ყოფილი აქტივებისათვის გადასახდელები, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის 35-ე მუხლით, გადაუხადოს საბჭოთა კავშირს არა დოლარებით, არამედ საქონლის მიწოდებით. მერე რა არის აქ ცუდი?— იკითხა მოლოტოვმა. რატომ უნდა გადავდოთ ამ საკითხის გადაჭრა? განა ჩვენი წინადადება არ აუმჯობესებს ავსტრიის მდგომარეობას? ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ საბჭოთა წინადადებების მიმართ, რომლებიც ავსტრიას შეეხება, ყველაზე შეურიგებელი პოზიცია დღეს დაიკავა ბ-მა იდენმა.

ვ. მ. მოლოტოვმა ცხადყო, რამდენად უსაფუძვლოა მოსაზრებანი საბჭოთა კავშირის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ ვენიდან გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები სამოკავშირეო კომისიის ლიკვიდაციასთან ერთად. ჩვენ შემოგთავაზეთ წინადადება ვენიდან უცხოეთის ჯარების გაყვანა განხორციელდეს, თქვა მოლოტოვმა, ავსტრიის ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად.

ამ ხელშეკრულების თანახმად კი ავსტრიას უფლება აქვს იყოლიოს თავისი არმია, თავისი ჯარის ნაწილები მთელ სახელმწიფოში, მათ შორის ვენაშიც. ამრიგად, საბჭოთა წინადადება შეესაბამება ავსტრიის ინტერესებს.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა უპასუხა მოსაზრებებს საბჭოთა კავშირის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე გადაიდოს ოთხი სახელმწიფოს ჯარების გაყვანა, რომლებიც ავსტრიის შესაბამისი ზონების ტერიტორიაზე იმყოფებიან. მან თქვა, რომ სწორი არ არის ცდები დაბატონ ეს წინადადება როგორც ოკუპაციის განგრძობა, რამდენადაც ავსტრიაში დროებით დარჩენილი ოთხი სახელმწიფოს ჯარები არ იქნებიან საოკუპაციო ჯარები, არ შეასრულებენ საოკუპაციო ფუნქციებს და არ ჩაერევიან ავსტრიის ადმინისტრაციის საქმეებში და ავსტრიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ამათ, ვინც ცდილობს ოთხი სახელმწიფოს ჯარის ნაწილების დროებით, განსაზღვრული ვადით დატოვებას ავსტრიაში დახატოს როგორც ოკუპაცია, უნდა გვიპასუხონ კითხვაზე, რატომ არ მიაჩნიათ მათ ოკუპაციად ის, რომ საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ნორვეგიის, ისლანდიისა და სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე არის ამერიკის სამხედრო ბაზები.

ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა დამსწრეთ, რომ საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ ავსტრიის ტერიტორიაზე განსაზღვრული ვადით დარჩენენ ოთხი სახელმწიფოს ჯარები, ნაკარნახევია საჭიროებით — აღიკვეთოს ახალი ანშლუსის ცდები. შეეხო რა უსაფუძვლო მტკიცებას, რომ ანშლუსის საკითხს თითქოს არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა, ვ. მ. მოლოტოვმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ როგორც დასავლეთ გერმანიაში, ისე ავსტრიაშიც ფართოდ ხორციელდება საქმიანობა, რომლის მიზანია ავსტრიის შეყვანა დასავლეთ გერმანიის შემადგენლობაში.

ჩვენ გვახსოვს, მაგალითად, თქვა მოლოტოვმა, დასავლეთ გერმანიის მინისტრის კაიზერის ვიზიტი ბასლეთ წლის მარტში, როცა იგი შეეხო დასავლეთ გერმანიისა და ავსტრიის ურთიერთობას და ვამოთქვა რწმენა, 1945 წლის შემდეგ შექმნილი საზღვრები მალე მოიშპობოო. ასეთი განცხადება კაიზერის გარდა სხვებსაც გაუკეთებიათ. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ აწყობენ დასავლეთ გერმანიისა და ავსტრიის ჯარისკაცთა კავშირების წევრთა შეხვედრებს. ამ შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობენ ყოფილი ჰიტლერელთა არმიის ათეულ ათასობით ჯარისკაცი და ოფიცერი, როგორც გერმანელები, ისე ავსტრიელები, და იქ წარმოებს აწმლუსის იდეის აშკარა, ღიერარსნილი პროპაგანდა. ავსტრიის სახელმწიფოსადმი მტრულ საქმიანობას ეწევიან აგრეთვე ავსტრიის ნეოფაშისტური ორგანიზაციის „დამოუკიდებელთა კავშირის“ წევრები. „დამოუკიდებელთა კავშირის“ ლიდერი ყოფილი პოლკოვნიკი, ამყამად ავსტრიის პარლამენტის დეპუტატი შტენდებახი 1953 წლის აგვისტოში გამოვიდა ავსტრიის პარლამენტში და მოუწოდა არ ცნონ სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის დებულებანი, რომლებიც კრძალავენ აწმლუსს, კერძოდ, პროექტის მე-4 მუხლი.

ჩვენ მიგვაჩნია, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, რომ ასეთ ფაქტებს გვერდს ვერ აუვლით. რა თქმა უნდა, გერმანიასთან რომ იყოს დადებული საზავო ხელშეკრულება, რომელზეც ხელი მეტნებოდათ მოწვრილი საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს და რომელიც უზრუნველყოფდა გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას, მაშინ აწმლუსის შიში აღარ იქნებოდა და შესაბამისი საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია აწმლუსის აკვეთა, ზედმეტი გახდებოდა. აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა დავჩქარეთ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც საშუალებას მოგვცემს დაგაკმაყოფილოთ გერმანელი ხალხის კანონიერი ეროვნული მოთხოვნები და ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

შეეხო რა ბიდოს განცხადებას იმის შესახებ, რომ ავსტრიისათვის მიუღებელია საბჭოთა წინადადება, ვ. მ. მოლოტოვმა. მან თქვა, რომ საჭიროა იდენის საკითხის საკითხზე საუბარი. ამ საკითხზე ინგლისელ მინისტრს ეს ეთქვა: „ჩვენ ვფიქრობთ, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ... ეს ნიშნავს, ... ეს ნიშნავს, ...

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

(დასასრული)

წინადადებაში ზუსტად აღნიშნულია, რომ ოფიციალსტმება ავსტრიაში ჯარების დატოვება მანამდე, სანამ გერმანიასთან დაიდებოდეს საზავო ხელშეკრულება.

დასასრულ დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის შეუთანხმებელი მუხლები მიიღო იმ სახით, როგორც საბჭოთა კავშირი ითვალისწინებდა, იმ პირობით, რომ საბჭოთა დელეგაცია არ შეიტანს რაიმე შესწორებას მე-4 და 33-ე მუხლებში. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, განაცხადა დალესმა, ვერ დაეთანხმება შესწორებებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციას შეაქვს აღნიშნულ მუხლებში.

შემდეგ სიტყვა აიღო ე. ბიდომ, რომელიც საბჭოთა წინადადებების მიღების წინააღმდეგ წავიდა. მოუხედავად ნამდვილი ფაქტებისა, იგი ამტკიცებდა, რომ არც ავსტრიაში, არც ევროპის საერთო მდგომარეობაში თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარა, რითაც შეიძლება გამართლდეს საბჭოთა წინადადებების შეტანა. ბიდოს არაფერი უთქვამს ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის იმ ნაწილის შესახებ, რომელშიც მან განმარტა, რატომ დაინახა საჭიროდ საბჭოთა კავშირმა შეეტანა ახლა თავისი წინადადებანი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების პროექტის გამო.

ბიდოს შემდეგ გამოვიდა იდენი. დაამახინჯა რა საბჭოთა წინადადებების არსი, იგი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა დელეგაციას თითქოს არ სურს ხელი მოაწეროს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებას. იდენის სიტყვით, საბჭოთა წინადადებანი თითქოს მიუღებელია ავსტრიისათვის.

შემდეგ სიტყვა აიღო ფიგლმა. მან გამიმეორა, რომ ავსტრიის მთავრობამ ავსტრიის დელეგაციას თათბირზე მისცა რეშუნება დამატებინა შენიშვნები სხდომაზე გამოთქმული აზრების გამო. მან აღნიშნა განსხვავება ავსტრიის პოზიციის განმარტებაში, რომელსაც შეიცავს ფიგლისა და იდენის გამოსვლები, და თქვა, რომ იდენი რატომღაც მეტს ლაპარაკობს ავსტრიის სახელით, ვიდრე ფიგლი, რომელიც უფლებამოსილია ელაპარაკოს ავსტრიის სახელით.

ბ-ნმა იდენმა, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, განაცხადა, რომ ავსტრიას არ შეუძლია მიიღოს საბჭოთა წინადადება, ხოლო ბ-ნ ფიგლს ეს არ უთქვამს. მან თქვა სხვა რამ. ბ-ნმა ფიგლმა განაცხადა, რომ ავსტრიის დელეგაციას აქვს მზოლოდ გარკვეული, შეზღუდული რეშუნებანი, რომ იმ წინადადებებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ 10 თებერვალს შეიტანა, არ იცნობდა ავსტრიის მთავრობა და რომ ამ წინადადებებზე პასუხის გაცემის რეშუნება ავსტრიის დელეგაციას არა აქვს. მაგრამ ერთია არ გქონდეს იმის რეშუნება, რომ გამოთქვა აზრი გარკვეულ წინადადებათა გამო და სულ სხვაა გამოთქვა აზრი, რომ ეს წინადადებანი მიუღებელია, რაც, იდენის სიტყვით, თითქოს განაცხადა ავსტრიის დელეგაციამ. ამრიგად ბ-ნ იდენის მტკიცება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბ-ნ ფიგლს ავსტრიის პოზიციის შესახებ არ უთქვამს ის, რასაც ამ პოზიციის შესახებ ამტკიცებდა ბ-ნი იდენი.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა პასუხი გასცა იმ შენიშვნებზე, რომლებიც გაკეთეს დალესმა, ბიდომ და იდენმა.

ვ. მ. მოლოტოვმა ცხადყო უსაფუძვლობა დალესის მტკიცებისა, რომ საბჭოთა წინადადება იმის შესახებ, რომ ოთხი სახელმწიფოს ჯარის ნაწილება დროებით დარჩნენ ავსტრიის ტერიტორიაზე ისე, რომ არ ასრულებდნენ საოკუპაციო ფუნქციებს, თითქოს წარმოადგენდეს ავსტრიის ოკუპაციის სამუდამოდ დამკვიდრებას.

ამბობენ, თქვა მოლოტოვმა, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები მოსწონთ ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიაზე შექმნილია ეს ბაზები. მაგრამ ყველას როდი აქვს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკის სამხედრო ბაზები ძალიან მოსწონთ საფრანგეთში, იტალიაში ან, ვთქვათ, ისლანდიაში. ცნობილია, რომ ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის უფლების მიღებად ზოგჯერ მიმართავენ ეკონომიური, პოლიტიკური და ყოველგვარი სხვა ზეგავლენის ღონისძიებებს და სწორედ ამის შედეგად იღებენ ეგრეთწოდებულ „თავისუფალ მიწვევას“ შექმნან ბაზები. თუ, მაგალითად, ისლანდია მისი ორასიათასიანი მოსახლეობით „ითხოვს“ მოაწყონ მის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზა, ამ საკითხზე შეთანხმება, რასაკვირველია, არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც თანასწორუფლებიანი.

შეიძლება თუ არა, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, ვამტკიცოთ, რომ ინგლის-ამერიკის ბაზა ტრიესტში „თავისუფალი მიწვევით შეიქმნა“. ამის მტკიცება საკმაოდ ძნელია, ხოლო ამის დამტკიცება, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია. ყველას ესმის, რომ ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზის შექმნა ტრიესტში არა მარტო არღვევს იტალიასთან საზავო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა, არამედ შეშფოთებასაც კი ქმნის ევროპის ზოგიერთ რაიონში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ბაზა არც ისე შორს არის ავსტრიასთან. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ტრიესტის საკითხზე მის მიერ დღეს შემოტანილი წინადადება ისეთია, რომ მასზე შეთანხმება არც ისე ძნელი იქნება.

ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას, რომ საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა, რათა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა წინადადებით მიმართოს უშიშროების საბჭოს განაახლოს იტალიასთან საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილის შესრულების საკითხის განხილვა, რომელიც ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიას ეხება. ბ-ნმა იდენმა საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადება სულ სხვანაირად დასახა. იგი ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა დელეგაცია მოითხოვდეს უშიშროების საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება ტრიესტის საკითხზე, სანამ ავსტრიის ხელშეკრულება დაიდებოდეს. მაგრამ ასეთი მოთხოვნა, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, საბჭოთა წინადადებაში არ არის.

ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ ოთხი სახელმწიფოს იმ ჯარის ნაწილებისათვის დაწესებული პირობები, რომლებსაც დროებით ავსტრიაში, არ უნდა შეეცავდეს საოკუპაციო რეჟიმს. მან აღნიშნა, რომ თუ საბჭოთა წინადადება ამ მხრივ საკმაოდ ზუსტად ვერ არის ჩამოყალიბებული, საბჭოთა დელეგაცია მზად არის მოისმინოს სხვა წინადადებანი, რათა გააუჯობესოს თავისი პროექტი.

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს, თქვა მოლოტოვმა, შევთანხმდეთ აქ ისეთ დებულებებზე, რომლებიც მისაღები იქნება ყველა ჩვენგანისათვის, რომლებიც ამ ოთხი სახელმწიფოდან არც ერთის ინტერესთა საწინააღმდეგო არ იქნება და ავსტრიელი ხალხის სურვილთა შესაბამისი იქნება. ისეთი შეთანხმება მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისი იქნება.

შეეხო რა ბიდოს განცხადებას, რომ იგი ვერ მიმხვდარა, თუ რატომ შემოაქვს საბჭოთა მთავრობას დამატებითი წინადადებანი, ვ. მ. მოლოტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო ვითარებაში მომხდარ ცვლილებებს. ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის მუხლები, რომლებიც ხუთი წლის წინათ დაიწერა, თქვა მოლოტოვმა, ახლა საკმარისი აღარ არის, რადგან წარმოიშვა ანშლუსის საფრთხე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ არ ყოფილა. მას შემდეგ, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, რაც დაიწყო ლაპარაკი „ევროპის თავდაცვით გაერთიანებაზე“, მას შემდეგ, რაც წარმოიშვა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა და ანშლუსის საფრთხე უფრო მწვავე გახდა. ამიტომ წინადადებანი, რომლების შეტანასაც საბჭოთა დელეგაციას აიძულებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხის გადაჭრის დაყოვნება, შეესაბამება ახალ ვითარებას, რომელიც განსხვავდება ხუთი წლის წინათ არსებული ვითარებისაგან. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია ყველაზე მეტად გააკვირვა იდენის გამოსვლამ, რადგან მან ისეთი მოსაზრებანი მოიყვანა საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ, რომლებიც არამც და არამც არ შეესაბამება ფაქტებს. ბ-ნმა იდენმა თქვა, თითქოს საბჭოთა დელეგაციას წამოეყენებინოს ოთხი პირობა, რომელთა შესრულებისას იგი თანახმაა ხელი მოაწეროს ავსტრიის ხელშეკრულებას. მან ჩამოთვალა ეს პირობები. ჯერ-ერთი, შეთანხმება ტრიესტის საკითხზე. მაგრამ საბჭოთა დელეგაციას ასეთი პირობა არ წამოუყენებია და არც აყენებს. მეორე, დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. საბჭოთა დელეგაციას არც ასეთი პირობა წამოუყენებია და არც აყენებს. მესამე, უარი თქვან „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნაზე. ჩვენ, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, არც ასეთი პირობა წამოგვიყენებია. ჩვენ ვთქვით, რომ, თუ ხელს აიღებენ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის გეგმაზე, ეს, რა თქმა უნდა, გააადვილებდა ავსტრიის ხელშეკრულების დადებას. ეს უდავოა. მეოთხე, იდენმა თქვა, თითქოს ჩვენ მოვითხოვთ გაუქმდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი. მე ისეთი სტატეგიც არ მითქვამს, როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, — განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, — საიდან მოუვიდა ბ-ნ იდენს ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს აცხადებდეს: „ხელი აიღეთ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკზე და ავსტრიასთან ხელშეკრულება დაიდებაო“. ამის მსგავსი არც მითქვამს რამე და არც მოვითხოვ. როგორც ჩანს, ბ-ნ იდენს წაუკითხავს ზოგიერთი ინგლისური გაზეთი, რომლებმაც დაამახინჯეს საბჭოთა დელეგაციის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში და აშკარა ზღაპრებს მიაწერენ საბჭოთა კავშირს. ამბობენ, საბჭოთა კავშირი ავსტრიის ხელშეკრულების დადების საკითხს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საკითხს უკავშირებსო. ჩვენ ეს საკითხები ერთმანეთთან არ დაგვიკავშირებია. ეს ზოგიერთი გაზეთის მონაჭორია. საბჭოთა კავშირს მიაწერენ აგრეთვე ისეთ აზრს, თითქოს ჩვენი წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების თაობაზე სრულიად ევროპის ხელშეკრულების შესახებ წინასწარ პირობად მოითხოვდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ლიკვიდაციას. მაგრამ ეს მონაჭორია. ჩვენ ეს არ გვითქვამს.

დასასრულ ვ. მ. მოლოტოვი შეეხო იმ დასკვნებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციას გამოჰყავს განვლილი განხილვიდან.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი, თქვა მან, ზომიერია. ისინი ითვალისწინებენ ევროპაში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, იმ ფაქტს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დადება დაყოვნდა და ამით გაძლიერდა ანშლუსის საფრთხე ავსტრიის მიმართ. საბჭოთა დელეგაციას შეაქვს ერთი დამატება და ერთი შესწორება ავსტრიასთან ხელშეკრულებაში, რომელიც ძირითადად შეთანხმებულია. საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ ავსტრიაში, სანამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება დაიდებოდეს, დარჩეს მეერთიანების შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ჯარის რამდენიმე ნაწილი, რომელთაც არ ექნებათ არავითარი საოკუპაციო ფუნქცია. ეს მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ავსტრიას. ჩვენ ამას ვეთანხმებით. მაგრამ აღნიშნული წინადადება ძირითადად აკმაყოფილებს ავსტრიის ხალხისა და ავსტრიის მთავრობის სურვილს. ამ წინადადების მიღება ავსტრიის ინტერესებს შეესაბამება; მის მიღებაზე უარისთქმა მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ უცხო სახელმწიფოს სასარგებლო იქნება. საბჭოთა წინადადების მიღება გადაწყვეტდა ავსტრიის ხელშეკრულების საკითხს და ჩვენ შეეძლებდით ხელი მოგვეწერა მისთვის ამ კვირის განმავლობაში.

საბჭოთა წინადადებას, რომელიც ეხება მუხლს 4-ბის, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ გამოითქვა მოსაზრება, რომ ნეიტრალიზებული ავსტრია მისაღები იქნება ამერიკის შეერთებული შტატებისთვისაც. მე მგონია ეს მოსაზრება ცხადყოფს, რომ საბჭოთა წინადადებას დავა არ უნდა გამოეწვია. ავსტრიის მთავრობის განცხადება პრესაში და ბ-ნ ფიგლის განცხადება ამ თათბირზე, რომ ავსტრია არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს რაიმე დაჯგუფებაშიო, აგრეთვე მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის ეს წინადადება არ უნდა უარყონ.

შეეხო რა ფიგლის განცხადებას, რომ მას არა აქვს რეშუნება პასუხი გასცეს საბჭოთა წინადადებებზე 4-ბის მუხლის შესახებ და 33-ე მუხლის შესახებ, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, შეიძლებოდა დაგვეცადა, სანამ ფიგლი უახლოეს ხანში მიიღებდეს ამ რეშუნებას, და დადებითად დაგვემთავრებინა დისკუსია ამ თათბირზე, ესე იგი ავსტრიასთან ხელშეკრულებაზე ხელი მოგვეწერა იმ პირობებით, რომლებიც მისაღებია თათბირის ყველა მონაწილისათვის და რომლებიც შეთანხმებული იქნება ავსტრიის მთავრობასთან.

დალესის, ბიდოს, იდენისა და ფიგლის მოკლე სიტყვების შემდეგ, რომელთაც ახალი არაფერი შეუტანიათ საკითხის განხილვაში, თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა წინადადება შეიტანა — ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხის განხილვა გაგრძელდეს ერთ-ერთ შემდეგ სხდომაზე. ამ წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა. ვ. მ. მოლოტოვმა გამოაცხადა, რომ ხვალ დილის და საღამოს სხდომები გაიმართება გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში, ხოლო შემდეგი სხდომა — სამშაბათს, ყოფილი საკონტროლო საბჭოს შენობაში. მოლოტოვმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ არის შეთანხმება იმის შესახებ, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებ-ს თათბირის მუშაობა დამთავრდეს 18 თებერვალს.

ამით დაიხურა სხდომა.

ჩინელი ხალხი აღნიშნავს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-4 წლისთავს

პეკინი, 13 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და სასოფლო რაიონებში იმართება სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შეთანხმების ხელმოწერის მიძღვნილი კრებები, საუბრები და საღამოები. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებებმა მოაწყეს ფოტოგამოფენები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

დღეს ხელშეკრულების ხელმოწერის მე-4 წლისთავთან დაკავშირებით ჩინეთ-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოების პეკინის განყოფილებამ და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობების საკავშირო საზოგადოების ჩინეთის წარმომადგენლობამ მოაწყეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო. საღამო გახსნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პეკინის განყოფილების გენერალურმა მდივანმა ცვენ პინმა. სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-4 წლისთავისადმი მიძღვნილი მოკლე სიტყვა წარმოთქვა პეკინის მერის მოადგილემ უ ხანმა.

საღამოზე გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ი. მ. ლომაკინი.

საღამოს მონაწილეებმა ნახეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერას მოსკოვში, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის ყოფნას სსრ კავშირში და სხვ.

საღამო დამთავრდა ჩინელი ახალგაზრდობის თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლებით.

სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა გერმანიაში ვ. ს. სემიონოვმა მიიღო სრულიად გერმანიის ეკონომიური თათბირის მონაწილეთა დელეგაცია

ბერლინი, 14 თებერვალი. (საკდესი). ამას წინათ ბერლინში გაიმართა სრულიად გერმანიის ეკონომიური თათბირი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მრეწველთა, ვაჭრთა, ხელოსანთა და საქმიანი წრეების ექვსასმა წარმომადგენელმა.

თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას სრულიად გერმანიის შინაკავრობის ხელისშემწყობი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ოტო ცვიკერი — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საქმიანი წრეებისაგან და კურტ ეპერლაინი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებისაგან.

სრულიად გერმანიის ეკონომიურმა თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი.

„... კონფერენციის მონაწილეებს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მიაჩნიათ, რომ თუ საზონათშორისო ვაჭრობის დარგში შესაძლებელი აღმოჩნდა მთელი რიგი წლების მანძილზე ეწარმოებინათ მოლაპარაკება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს შორის და მიეღწიათ გარკვეული შედეგებისათვის, აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რომ ურთიერთგაგება დამყარდეს გერმანიის ორივე ნაწილს შორის.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირს, რომელიც ბერლინში მიმდინარეობს, მოწოდებით — მიაღებინონ მონაწილეობა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს გერმანიის საკითხის განხილვაში.

გერმანიის გაერთიანება მიღწეულ უნდა იქნას სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებისა და თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების მოწყობის გზით“...

1954 წლის 12 თებერვალს დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ შტუტგარტის ტყავის ნაწარმის ფაბრიკის მმართველი და ფფლობელი ცვიკერი, ზოლინგენის ერთ-ერთი ფირმის ფფლობელი ვებერი, საწარმო „დიატექტილის“ მეორე დირექტორი ეპერლაინი და „დოიჩე ვარენფერტრიბგეზელშაფტის“ კომერციული დირექტორი შულეე, ეწვია სსრ კავშირის ბერლინის საელჩოს შენობაში სსრ კავშირის უმაღლეს კომისარს გერმანიაში, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ვ. ს. სემიონოვს და თათბირის მონაწილეთა დავალებით გადასცა ტექსტი რეზოლუციისა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის სახელზე.

მიიღო რა რეზოლუცია, ვ. ს. სემიონოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია თანაგრძნობით ეკიდება დასავლეთ გერმანიის საქმიანი წრეების სურვილებს, რომელთა მიზანია განმტკიცდეს და გაფართოვდეს ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოებას.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოქმს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1954 წლისათვის

უკანასკნელ ხანს მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაციას შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება საქონელბრუნვის შესახებ 1954 წლისათვის. 13 თებერვალს ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა — ხელმოწერილია სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოქმი საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1954 წლისათვის.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება — ყოველი ღონისძიებით გააფართოონ სავაჭრო ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.

ვაჭრობის საკითხთა განხილვის დროს ყურადღება მიექცა იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ რადგან საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა 1954 წლის 1 იანვრიდან შეწყვიტოს რეპარაციების გადახდევინება გერმანიისათვის, უსასყიდლოდ გადასცეს საკუთრებად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საბჭოთა საწარმოები გერმანიაში და შეამციროს საოკუპაციო ხარჯები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავისუფლდება საქონლის რესურსები, რომლებიც ახლა გერმანიის მხარეს შეუძლია გაჰყიდოს კომერციულ საწყისებზე.

საბჭოთა კავშირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1954 წელს შეისყიდის გემებს, ვაგონებს, საგლინავ და სხვა მოწყობილობას, რაც მას წინათ რეპარაციებით ეძლეოდა, აგრეთვე სხვა საქონელს, რომელიც სსრ კავშირს ჩვეულებრივ გაჰქონდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან წარსულ წლებში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირი მიაწვდის მარცვლეულს, სურსათს, ბამბას, მატყლს, შავ და ფერად ლითონებს და სხვა საქონელს, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ესაჭიროება.

საქონლის ურთიერთ მიწოდების მოცულობა 1954 წელს შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდება. 1950 წელთან შედარებით, როცა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის პირველად დაიდო სავაჭრო შეთანხმება, საქონელბრუნვა 1954 წელს თითქმის ერთისამად გადიდდება.

საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, გერმანიის მხრივ — საგარეო და საშინაო ვაჭრობის მინისტრმა კ. გრეგორმა.

ვ. მ. მოლოტოვი შეხვდა ჯ. დალესს

ბერლინი, 13 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ბ-ნ ჯ. დალესთან.

მოხდა აზრთა მორიგი გაცვლა ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე მოლაპარაკების პროცედურის შესახებ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გასული წლის 8 დეკემბრის გამოსვლაა და საბჭოთა მთავრობის 21 დეკემბრის განცხადებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა არმიის მიერ გუდაპეშტის განთავისუფლების მე-9 წლისთავი

ბუდაპეშტი, 14 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის განთავისუფლების მეცხრე წლისთავის გამო გუშინ გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების დამსწრეთა შორის იყვნენ ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კალმან პონგრაცი, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის კომიტეტის მდივანი იოჟეფნე ჩიკესი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. დ. კისელიოვი და სხვები.

ბუდაპეშტის განთავისუფლებისადმი და განთავისუფლების შემდეგ მისი განვითარებისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა კოშუტის სახელობის პრემიის ლაურეატმა პოეტმა გიორგი დევეჩერიმ.

რით არის შეშფოთებული აღენაუერი?

ბერლინი, 11 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის საინფორმაციო ცენტრის ბონიდან იუწყება:

როგორც ბონში ცნობილი გახდა, ადენაუერმა თავის წარმომადგენელთან ბერლინში ბლანკენჰორნთან ტელეფონით ერთ-ერთ უკანასკნელ საუბარში მას მითითება მისცა გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დალესს შემდეგი თხოვნა: ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ავსტრიის საკითხის განხილვის დროს საჭიროა დაბეჯითებით მოვითხოვოთ, რომ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ავსტრიისათვის იმის შესაძლებლობა, რომ შეუერთდეს დასავლეთის სახელმწიფოების ერთ-ერთ სამხედრო კავშირს.

ადენაუერი შიშობს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება საშიში პრეცედენტი, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შემუშავების დროს.

ადენაუერმა თავის ბერლინელ წარმომადგენელს მითითება მისცა აცნობოს აგრეთვე დალესს, რომ მისი აზრით ავსტრიის საკითხის განხილვის დროს ყველაზე მიზანშეწონილი იქნებოდა არ მიეღოთ არავითარი გადაწყვეტილება. ამასთან ადენაუერმა დაბეჯითებით აღნიშნა, რომ ავსტრიის საკითხში რუსებთან ყოველ, თუნდაც ნაწილობრივ შეთანხმებას, ბევრი ქვეყნის საზოგადოებრიობა შეაფასებს როგორც საბჭოთა დელეგაციის წარმატებას და დასავლეთის სახელმწიფოების დელეგაციათა დამარცხებას. მაშასადამე, შეთანხმება ავსტრიის საკითხში სერიოზული დამატებითი სიძნელე იქნება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნისათვის, რადგანაც საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გაძლიერდება სურვილი, რომ განგრძონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან საერთაშორისო საკითხების მოსაწესრიგებლად.

ლი სინ მანი დაზავების ჩასაშლელად ემზადება

შანხაი, 11 თებერვალი. (საკდესი). სეულიდან მიღებული ცნობით, ლი სინ მანმა ასოციაციერ პრესის საგენტის კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, „მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი განვაახლო ომი“, და დასძინა, რომ „საპიროების შემთხვევაში“ ომს დაიწყებს ისე, რომ არ დაელოდება ამერიკელთა სიგნალს.

ლი სინ მანს არ უთქვამს, თუ როდის აპირებს საომარი მოქმედების განახლებას, მაგრამ მან განაცხადა: „დრო სწრაფად იწურება. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად, თუ არა დავიღუპებით“. მან რამდენჯერმე გაიმეორა: „მე დასაშინებლად კი არ ვლაპარაკობ. ახლა ბლეფისათვის არა მცალია“.

სპორტის ახალი ამბები

ჰოკეისტთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები

14 თებერვალს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა შაიბიან ჰოკეიში ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. შეჯიბრება სწრაფი ტემპით და მშვავე სპორტული ბრძოლით მიმდინარეობდა. გამარჯვება ანგარიშით 2:0 მოიპოვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა.

ამავე დღეს გორკში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ჰოკეისტები შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს — ვ. მ. მოლოტოვის სახელობის ავტომაბრნის საზოგადოება „ტორპედოს“ სპორტსმენებს. შეჯიბრება მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 9:2.

ლენინგრადში ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოფიცრის სახლის გუნდი შეხვდა შვეიცის კლუბის „ნაკას“ ჰოკეისტებს. გამარჯვება ანგარიშით 8:0 მოიპოვეს ლენინგრადელებმა. (საკდესი).

საბჭოთა სპორტსმენ ვლადიმერ კუზინის გამარჯვება

ფალუნი (შვეცია), 14 თებერვალი. (საკდესი). დღეს შვეციის ქალაქ ფალუნის მიდამოებში, სათხილამურო სადგურ ლუგნეტთან, დაიწყო მოთხილამურეთა შეჯიბრება მსოფლიოს პირველობაზე.

ამ უდიდეს შეჯიბრებაში მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის 250-ზე მეტი მოთხილამურე. სსრ კავშირის გუნდში შედის 45 კაცი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მოთხილამურეთა გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო მოთხილამურეთა რბოლით 30 კილომეტრზე.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ვლადიმერ კუზინმა, რომელმაც დისტანცია გაიარა 1 საათსა, 50 წუთსა და 25 წამში. ამით ვლადიმერ კუზინმა მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ამ დისტანციაზე.

საბჭოთა მოციგურავეების ბრწყინვალე გამარჯვება

ოსლო, 14 თებერვალი. (საკდესი). 10 ათასი მეტრის გარბენაში საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ნორვეგიელებზე, მოიგეს რა ხუთი წყვილის გარბენა. 10 ათას მეტრ დისტანციაზე სუფეთესო შედეგი აჩვენა ოლეგ გონჩარენკომ, რომლის დროა 17 წუთი და 21,2 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა დიმიტრი საკუნენკო — 17 წუთი და 31,5 წამი.

სსრ კავშირისა და ნორვეგიის მოციგურავეთა ორი დღის ამხანაგურ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ ცხადყვეს დიდი ოსტატობა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. მათ მოაგროვეს 1.377,692 ქულა. ნორვეგიის გუნდს აქვს 1.396